

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
GEORGIAN BAR ASSOCIATION

WWW.GBA.GE



GBA-Newsletter აბზისტო-სექტემბერი 2016

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ევროსაბჭოს წინ აქცია გამართა



26 სექტემბერს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს წინ, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა საქართველოს ხელისუფლების მიერ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ევა გოცირიძის კანდიდატურის წარდგენა გააპროტესტა.

ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ ევა გოცირიძეს არ გააჩნია მაღალი მორალური და ზნეობრივი კრიტერიუმები, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს. 2016 წლის 30 სექტემბერს მოსამართლეობის თითოეულ კანდიდატთან დანიშნულია გასაუბრება. 2016 წლის 10 ოქტომბერს ევროპის საბჭოს ასამბლეა, ევროპის

ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან ერთ-ერთ წევრს აირჩევს.

ზაზა ხატიაშვილმა ევროპის საბჭოში რამდენიმე შეხვედრა გამართა. მან უკვე მიმართა ევროპის საბჭოს ასამბლეას, არ დაუშვან ევა გოცირიძის კანდიდატურის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში დამტკიცება. როგორც ცნობილია ევროსასამართლოს კომიტეტმა საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატებს მხარი არ დაუჭირა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე სტრასბურგში ევროპის საბჭოს მიწვევით იმყოფებოდა.

შეხვედრები სამართლის აქტუალურ საკითხებზე



23-24 სექტემბერს, ბათუმსა და ქუთაისში ადვოკატებმა, მოსამართლეებმა და პროკურორებმა Bench-Bar-ის ფორმატში დისკუსია გამართეს სისხლის სამართალწარმოების ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა: ტრეფიკინგი, მიგრანტის უკანონო გადაყვანა, საზღვრის უკანონო გადაკვეთა და ასევე, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის პრობლემატური საკითხები.

სამოქალაქო სამართალწარმოების ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა: სარჩელის უზრუნველყოფის და უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების პრობლემური საკითხები, მტკიცებულებათა შეგროვების და მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრაქტიკული საკითხები შეჯიბრებითობის პრიზმაში და მოსამართლის როლი დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის კონტექსტში.

Bench-Bar-ის მუშაობას ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი უძღვებოდა. შეხვედრა აქტიური დისკუსიის ფორმატში წარიმართა და აღინიშნა, რომ ასეთი ღონისძიებები, სხვადასხვა იურიდიული პროფესიების ჩართულობით, აუცილებელია ქვეყანაში ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის.

შეხვედრა მხარდაჭერილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის მიერ.

სასწავლო ცენტრი
2016 წლის აგვისტოში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები
და სხვა აქტივობები

თბილისი:

- 1 აგვისტო–ტრენინგი თემაზე „საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებანი და უპირატესობები“.
- 2 აგვისტოდან – 30 აგვისტომდე– ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი კურსებისთვის რეგისტრაცია.
- 4 აგვისტოდან- 24 აგვისტომდე–ტრენერთა შესარჩევი კონკურსის ორგანიზება.

სასწავლო ცენტრი
2016 წლის სექტემბერში მიმდინარე და დაგეგმილი საგანმანათლებლო
ღონისძიებები და სხვა აქტივობები

- 1 სექტემბრიდან– 12 სექტემბრამდე–გაგრძელდა რეგისტრაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი კურსებისთვის.
- 1 სექტემბრიდან– 20 სექტემბრამდე–ჩაინიშნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაცია.

საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი:

- 9 სექტემბერი–საგადასახადო სამართალი.
- 10 სექტემბერი–პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება / მონაცემები.
- 11 სექტემბერი–პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება / მონაცემები.
- 13-14 სექტემბერი–შრომის უფლება.
- 14 სექტემბერი–წინა სასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 16 სექტემბერი–დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.
- 17 სექტემბერი–ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.
- 19 სექტემბერი–წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 21 სექტემბერი–წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულება თადასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 26-27 სექტემბერი–ტრენერთა ტრენინგი თემაზე: სამედიცინო დავების განხილვის პრობლემური საკითხები.
- 27-28 სექტემბერი–ტრენერთა ტრენინგი თემაზე: სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში.
- 28 სექტემბერი–წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 28-29 სექტემბერი–ტრენერთა ტრენინგი თემაზე: ეკონომიკური დანაშაულები.
- 30 სექტემბერი–სახელმწიფოებო სამართალი.

ქუთაისი:

- 11 სექტემბერი–დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.
- 16 სექტემბერი–წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 22 სექტემბერი–წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.

ბათუმი:

26 სექტემბერი – წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.

27 სექტემბერი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.

სასწავლო ცენტრი 2016 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

1-2 ოქტომბერი – ტრენერთა ტრენინგი თემაზე: მოწმის დაკითხვის ახალი წესი.

2 ოქტომბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.

4 ოქტომბერი – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება / მონაცემები.

5 ოქტომბერი – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება / მონაცემები.

16 ოქტომბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.

17 ოქტომბერი – ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში.

22 ოქტომბერი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.

23 ოქტომბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.

25 ოქტომბერი – საგადასახადო სამართალი.

26 ოქტომბერი – სახელშეკრულებო სამართალი.

ბათუმი:

22 ოქტომბერი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33/36

ეთიკის კომისია

სამუშაო ჯგუფი საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადვოკატის საჩივრის განხილვის წესზე მუშაობს

ეთიკის კომისიის წევრებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მოსამართლეების შემადგენლობით შექმნილი სამუშაო ჯგუფი საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადვოკატის საჩივრის განხილვის წესზე მუშაობს. სადისციპლინო პალატა 2012 წლიდან „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებისას სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებებში უთითებს ანალოგიის წესით აღნიშნული კანონით გათვალისწინებული პროცედურის ადვოკატის საჩივრის განხილვის გავრცელებაზე. მოცემული კანონი ადვოკატზე ცალკე დათქმას არ აკეთებს და წლებია მიმდინარეობს მსჯელობა, რომ საჭიროა სახდელდადებული ადვოკატის საჩივრის განხილვის პროცედურის მომწესრიგებელი აქტის შემუშავება.

სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევა დამატება, რომელიც მიუთითებს, რომ ადვოკატის საჩივრის განხილვისას სადისციპლინო პალატა ხელმძღვანელობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით და განსხვავებული, სპეციფიური ნორმები „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში გაიწერება.

სამუშაო ჯგუფმა მუშაობის განმავლობაში რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გამართა და უკვე არსებობს ცვლილებათა/დამატებათა სამუშაო ვერსია. ცვლილებებზე მუშაობა 2016 წლის 15 ოქტომბერს დასრულდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებათა/დამატებათა პროექტის შემუშავებით.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს ფინანსურად მხარს უჭერს USAID-PROLOG-ის პროექტი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება.“

შეხვედრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში

14 - 21 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ადვოკატის საჩივრის განხილვის წესთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შედგა. შეხვედრას ეთიკის კომისიის წევრების გარდა ესწრებოდნენ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ექსპერტი, ადვოკატი ირაკლი კორძახია და სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე მოსამართლე მაია ვაჩაძე. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს ფინანსურად მხარს უჭერს USAID-PROLOG-ის პროექტი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება.“

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან პროფესიული ეთიკის სწავლების მიმართულებით მემორანდუმი გაფორმდა



ოქტომბერში განსახორციელებელი ღონისძიება:

სამუშაო ჯგუფის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ადვოკატის საჩივრის განხილვის წესის მარეგულირებელი კანონპროექტის შემუშავება

თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: info@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: info.qutaisi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: info.telavi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: info.batumi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33